შეკვეთა 1492 ტირაჟი 60

საქ.მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,თბილისი 380060 კუტუზოვის ქ.№19

371(02)
ს-703

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოსელია ლეილა სიმონის ასული

# მოსწავლეთა ქცევის კორექცია ძნელადაღსაზრდელობის ადრეულ პერიოდში (უმცროსი ასაკის მოზარდები)

13.00.01.- პედაგოგიკის თეორია და ისტორია

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი ო
მ ა ც ნ ე

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1993

ნაშრომი შესრულებულია ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

მეცნიერ-ხელმძღვანელი პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი ლევან თომას ძე ჩიქვანაია

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა.ქ. ბაინდურაშვილი.

2. პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თ.კარანაძე

დისერტაციის დაცვა შედგება 1994 წ. 25 იანვარს, 12 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს PE 13.00 CN 13-1 სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი N1

"საატესტაციო მაცნე" დაიგზავნა 1993-23-12

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი [signature] ხ. ბერიშვილი



## შრომის ზოგადი დახასიათება

<u>პრობლემის აქტუალობა</u>. დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა შორის განსაკუთრებით მწვავეა მოზარდთა დანაშაულის ზრდა, რომელსაც განაპირობებს მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა:

- ჩვენს საზოგადოებაში წლების მანძილზე დამკვიდრებული მანკიერებანი, ადამიანის უფლებათა ხელყოფა, ცხოვრების ყველა სფეროში გაბატონებული სიყალბე, სიტყვისა და საქმის გათიშვა;
- საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მოუწესრიგებლობა, მისგან გამომდინარე, ოჯახისა და სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის მოშლა და როგორც შედეგი, დევიანტური ქცევის მოზარდთა რაოდენობის ზრდა;
- მოზარდის ძნელადაღსაზრდელობის პრობლემების ზოგიერთი ასპექტის არასაკმარისი დამუშავება;
- სწავლებისა და აღზრდის სიტყვიერი და არა ფაქტობრივი ერთიანობა, რაზეცაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ: "დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკუა- გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს... დღეს ყველაფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკუა-გონების გარდა, გულიც აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წრთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკუა-გონებასა".

ილიას მიერ ხაზგასმული ნაკლი სკოლის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო საქმიანობაში დღესაც არსებობს და იგი სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. პიროვნების სწორად ფორმირების საკითხი ყოველთვის იყო და რჩება პედაგოგების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, იურის-

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института